სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №117
2024 წლის 6 ივნისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 24 სექტემბრის №155 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 24 სექტემბრის №155 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 28/09/2020, 040030000.54.066.016199) დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტები:

„ო) პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირის ინსპექტორი (Paragliding);

პ) პლანერის საფრენოსნო ექსპლუატაციის ინსპექტორი (SAO)“.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულების ინსპექტორის (ATO/ATCO) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) სწავლება საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სპეციალიზაციით;

გ) საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სასწავლო დაწესებულებაში შესაბამისი მიმართულებით მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება ან სააგენტოს საჰაერო მოძრაობის ორგანიზების ინსპექტორად მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“;

ბ) 21-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და რადიოსალოკაციო მომსახურების ინსპექტორის (CNS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი საინჟინრო განათლება;

ბ) სწავლება კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და რადიოსალოკაციო მომსახურების ან საჰაერო

ხომალდის ტექნიკური მომსახურების ან საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სპეციალიზაციით;

გ) შესაბამის სფეროში ან სააგენტოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“;

გ) 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. მეტეოროლოგიური მომსახურების ინსპექტორის (MET) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) პროფესიული განათლება საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) სპეციალიზაციით ან სწავლება მეტეოროლოგის ან საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სპეციალიზაციით;

გ) შესაბამის სფეროში ან სააგენტოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“;

დ) 23-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„23. ჰაერსანაოსნო ინფორმაციით მომსახურების ინსპექტორის (AIS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) პროფესიული განათლება საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) სპეციალიზაციით ან სწავლება ჰაერსანაოსნო ინფორმაციით მომსახურების ან საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სპეციალიზაციით;

გ) შესაბამის სფეროში ან სააგენტოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“;

ე) 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. ფრენის პროცედურების დიზაინის ინსპექტორის (PANS-OPS) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) პროფესიული განათლება საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) სპეციალიზაციით ან სწავლება ფრენის პროცედურების დიზაინის ან საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სპეციალიზაციით;

გ) შესაბამის სფეროში ან სააგენტოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“;

ვ) 25-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„25. საავიაციო რუკების ინსპექტორის (Cartographic) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) პროფესიული განათლება საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) სპეციალიზაციით ან სწავლება ჰაერსანაოსნო ინფორმაციით მომსახურების ან საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სპეციალიზაციით;

გ) შესაბამის სფეროში ან სააგენტოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“;

ზ) 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„26. საავიაციო ძებნა-შველის ინსპექტორის (SAR) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) პროფესიული განათლება საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის (პილოტის) სპეციალიზაციით ან სწავლება საავიაციო ძებნა-შველის ან საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის სპეციალიზაციით;

გ) შესაბამის სფეროში ან სააგენტოში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“;

თ) 27-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის კვალიფიკაციის შეფასების ინსპექტორის (ATCO/ASR) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საჰაერო მოძრაობის სამეთვალყურეო პუნქტზე მოქმედი დაშვება;

გ) საჰაერო მოძრაობის მეთვალყურედ მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“;

ი) 30-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;

კ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 32-ე და 33-ე პუნქტები:

„32. პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირის ინსპექტორის (Paragliding) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) განათლება საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ან ტექნიკური ექსპლუატაციის (პილოტის ან ავიატექნიკოსის) სპეციალობით ან სწავლება შესაბამისი სპეციალიზაციით;

ბ) საავიაციო დარგში მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება.

33. პლანერის საფრენოსნო ექსპლუატაციის ინსპექტორის (SAO) საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) განათლება საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ან ტექნიკური ექსპლუატაციის (პილოტის ან ავიატექნიკოსის) სპეციალიზაციით;

ბ) სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
დირექტორი **გივი დავითაშვილი**